


- „თეთრი სპარტაკი“ და ღვინისა და სხვა სხვა
- ვინ იქნება ტოკიოში პირველი?
- „ტურ და ურანი“... მოკინებით



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



საპარტვილო სსრ საორტულ საზოგადოებათა და ორბანიზაციების კავშირისა და კარგობათა საპარტვილო რედაქციის სახელით

Органи Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მ-20 წელი

№ 154 (2517) ხუთშაბათი, 6 აპრილი, 1964 წ. წაბი 8 კაპ.

8 აპრილი — ფიზკულტურის საკავშირო დღე

იზაიას მთელი თბილისი

8 აპრილი — ფიზკულტურის საკავშირო დღე — ნამდვილი ზეიმი გაიმართება საქართველოს დედაქალაქის სპორტულ ბაზაზე. გარდა იმისა, რომ თავიანთ ღონისძიებებს ჩაატარებენ ფიზკულტურული კოლექტივები, თბილისის სპორტკავშირის ინიციატივით, სპორტული საზოგადოებებისა და უწყებების დახმარებით მოეწყობა მრავალი მასობრივი შეჯიბრება.

თბილისის უცალომარდობის სადგურში სპორტის მოყვარულნი ნახვენ შეჯიბრებას ძრავიანი ნავებითა და კატარღებით, წყლის თხილამურებით, იალქნიანი ნავებით, ბაიარებითა და კანოებით, გაიმართება მასობრივი სერინობა კატარღებითა და თომავლებით.

ქალაქის ტრეკზე ძაღვებს ცდიან თბილისის უძლიერესი ველოსიპედისტები, ხოლო დონაფისა და არმელთა სპორტული კლუბების მოტოციკლისტები, აგრეთვე ველოსიპედისტები საზეიმო სვლას მოაწყობენ ქალაქის ქუჩებში.

ლიხის ტბაზე ორ დღეს (8-9 აპრილი) გაგრძელდება საქართველოს სსრ-ში და საფეიქრო მრეწველობის სამინისტროს სისტემის ფიზკულტურული კოლექტივების წარმომადგენელთა მასობრივი ცურვა, მშთ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება.

კირივის პარკის საჭადრაკო კლუბში გაიმართება ერთდროული თამაშის სეანსი. მოყვარულთა წინააღმდეგ გამოვლენ ოსტატები და ოსტატობის კანდიდატები.

დიდმის მსიგისა და ნაფთულის მესამე მსიგისი საზეიმოდ გაიხსნება ფრენბურთის, კალათბურთისა და ფეხბურთის ასალი მოღონები, გაიმართება შეჯიბრებანი ფეხბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ფრენბურთისა და კალათბურთში.

ორთონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში პირველი მაისის რაიონის სპორტკავშირი აწყობს შეჯიბრებებს ქართულ ჭიდაობასა და

მაგიდის ჩოგბურთში, ერთდროული თამაშის სეანსი ჭადრაკში. აქ წაიკითხვენ ლექციას თემაზე — „ფიზკულტურა და სპორტი ცხოვრებაში“.

ანალოგიური ღონისძიებანი გაიმართება მთაწმინდის კულტურისა და დასვენების პარკშიც.

„განთიადის“ ცენტრალური საბჭო საკუთარ ბაზაზე ჩაატარებს ხელბურთულთა, კალათბურთულთა და ფრენბურთულთა სამატჩო შეხვედრებს.


მტკვარზე მოეწყობა საზეიმოლი გამოსვლები ბაიარებით. 25 კომისიის რაიონის სპორტკავშირის განზრახული აქვს ტურისტული ლაშქრობის მოწყობა.

„სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭო ბაზაზე გაიმართება აწყობს დასვენების დღეს. გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრება. არც თბილისელი ცურვის მოყვარულნი იქნებიან უქმად. მათ დაეთმობათ ფიზკულტურის პარკისა და „განთიადის“ აუზები.

ერთი სიტყვით, ფიზკულტურის დღეს თბილისი დიდი სპორტული ზეიმის ქალაქად იქცევა.

ა. მეტრეველის გადაწყვეტილება

3030 (საფრანგეთი), 4 აპრილი. დამთავრდა ქაბუკი ჩოგბურთულთა ევროპის არაოფიციალური პირველობა — გალვას თაისის გათამაშება. როგორც უკვე ვიტყობინებოდით, უინალში გავიდნენ სსრ კავშირისა და თაისის გასული წლის მფლობელი



ა. მეტრეველი

ლი ჩეხოსლოვაკიის გუნდები. ერთდროული პირველი შეხვედრების შემდეგ ანგარიში იყო 1:1 (ა. მეტრეველი და მარცხა ი. კოლდუმი, ხოლო ა. ივანოვი წააგო ს. კოუდელკასთან).

მეორე დღეს წყვილთა მატჩის მოგებით წინ გავიდნენ საბჭოთა ჩოგბურთელები, მაგრამ ვადაშვილები სიტყვა ერთდროულთა დასკვნით შეხვედრას უნდა ეთქვა.

ამერიკელი მეტოქენი შეიცვალნენ — ა. ივანოვის წინააღმდეგ თამაშობდა ი. კოლდუმი. ლენინგრადელი ახლაც დამარცხდა. საერთო ანგარიში გათანაბრდა — 2:2.

ყველაფერი დამოკიდებული იყო ჩეხოსლოვაკელთა პირველ ჩოგბურთელ ს. კოუდელკასა და თბილისელ ა. მეტრეველის ორთაბრძოლაზე. ჩვენმა ჭაბუკმა თავიდანვე ხელთ იგდო უპირატესობა და აჩვენა მაღალი კლასი. მან პირველი პარტია ადვილად მოიგო — 6:1. კოუდელკა მეორე პარტიაში ერთ ხანს ცდილობდა წონსწორობის აღდგენას, მაგრამ ახლაც კვლავ დამარცხდა (4:6). ეს იყო ვადაშვილები ეტაბი. მესამე პარტიაში მეტრეველმა საბოლოოდ აიძულა კოუდელკა შერიგებოდა და მარცხებას (6:2).

ამრიგად, ფინალური მატჩი დამთავრდა სსრ კავშირის ჩოგბურთელთა გამარჯვებით — 3:2. მათ მოიპოვეს ნანატრი ჭიდაობა — გალვას თაისი.

ბის აღდგენას, მაგრამ ახლაც კვლავ დამარცხდა (4:6). ეს იყო ვადაშვილები ეტაბი. მესამე პარტიაში მეტრეველმა საბოლოოდ აიძულა კოუდელკა შერიგებოდა და მარცხებას (6:2).

ამრიგად, ფინალური მატჩი დამთავრდა სსრ კავშირის ჩოგბურთელთა გამარჯვებით — 3:2. მათ მოიპოვეს ნანატრი ჭიდაობა — გალვას თაისი.

მეორე ნახევრის დასაწყისი წულის ორი წუთით გაგდა პირველი ტაიმის ბოლოს. 50-ე და 53-ე წუთებზე კორტიკაძისა და მკველთა შეცდომებით ჯერ კახაკოვმა ისარგებლა კარგად, ხოლო შემდეგ ფედოტოვმა მეოთხე ბურთი გაგზავნა „დინამოს“ კარში.

ასე, ანგარიშით 4:1 დამთავრდა ეს მატჩი, რომელმაც ერთხელ კიდევ გვიჩვენა დინამოელთა დაცვის მორალური-ნებელობითი სისუსტე. მატჩის წაგება ძირითადად განაპირობა მკველთა თამაშში ურთიერთდაზღვევის უქონლობამ.

დუბლიორთა მატჩიც არმელებმა მოიგეს — 1:0.

სსრ კავშირის პირველობა

როცა მცვედთა შორის არ არის ურთიერთდაზღვევა

ცხაბ — „დინამო“ (თბილისი) 4:1

მოსკოვი, 5 აპრილი (ტელეფონით). აქაური სპორტის მოყვარულნი განუზომელი ინტერესით ელოდნენ გათამაშების ერთ-ერთი ლიდერის — თბილისის „დინამოს“ მატჩის მოსკოველ არმელებთან. ისინი ღირსეულ მეტოქეთა დაძაბულ და წარმატებულ ორთაბრძოლას მოელოდნენ, მაგრამ მყურებელთა გარეულ მხროლედ პირველმა ნახევარმა გაამართლა, როცა თანასწორთა პაექრობაში თანდათან გამოიყვანა დინამოელთა საგრძნობი უპირატესობა. და აი, მე-18 წუთზე იამანიძემ მეტრეველის ჩამოწოდებით ანგარიში გახსნა.

ეს წარუმატებლობა შოლტყით მოხვდა არმელებს. მათ უმატეს ტემპს და... თბილისის „დინამოს“ მკველები დაიბნენ. სწორედ დინამოელთა დაცვის შეუთანხმებელი და გაუბედავი თამაშის წყალობით არ-

ფეხბურთში

„დინამო“ (კიევი) — „ტორპედო“ (პუტაინი) 3:0

კიევი, 5 აპრილი. ადგილობრივი „დინამო“ დღეს აქ ეთამაშა ქუთაისის „ტორპედოს“.

მატჩი მიმდინარეობდა მასბინძვლათა უპირატესობით და მათივე გამარჯვებით დამთავრდა — 3:0.

5 მატჩი

დღეს ჩვენი ქვეყნის ქალაქებში გაიმართება მორიგი მატჩები. სსრ კავშირის თასზე თამაშობენ: „სპარტაკი“ — „კაირატი“, ხოლო პირველობაზე: „ზენიტი“ — „ნეფთიანიკი“, „დინამო“ (მინსკი) — „კრილია სოვეტოვი“, „ვოლგა“ — „მოლდოვა“ და „შინიკი“ — მოსკოვის „დინამო“ (პირველი წრის მატჩი).


კიევი, 5 აპრილი. დიუნაზე დაიწყო სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა ბაიდარებასა და კანოეთა ნიჩბოსნობაში. შეჯიბრება ტარდება ოლიმპიური პარკში. ასპარეზობაში გამარჯვებულები მიიღებენ ტოკიოს ოლიმპიადის საგზურებს.

ორი ტურის შემდეგ

მინსკი, 5 აპრილი (ჩვენი სპეცკორ). სსრ კავშირის XXXII საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალზე II ტურის შემდეგ მოეწყო გადაღებული და გამოტოვებული პარტიების რამათავრება.

I ტურის გადაღებულ პარტიებში ზილბერმა მოუგო შაგალოვიჩს, ელიევიკა — ვორემაას. ყაიმით დასრულდა მუხინ-მაიენასის შეხვედრა. ხოლო მან და სავონმა ითამაშეს გამოტოვებული პარტია. ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

II ტურის პარტიებში თამაშის განახლებისას კიდევ თითო გამარჯვება მოიპოვეს ზილბერმა და ვ-



თუმცა ზამთრის სეზონამდე დიდი დროა დარჩენილი, მაგრამ ბაკურიანის დღევანდელი სინამდვილე გვიძულებს ახლაც ვისაუბროთ მის ავ-კარგზე. მის აწყობასა და პერსპექტივებზე. ამ სამთო-საკურორტო დაბაში ბევრი რამ გაკეთდა სტუმრების ქართულად დახვედრისთვის. ამ სურათზე ერთი მათგანის — ახალი სასტუმროს ვარგხედია აღბეჭდილი. ერთის შეხედვით იგი შესანიშნავი ნაგებობაა, შიგნით კი... თუ როგორია იგი შიგნით, რა მდგომარეობაა საერთოდ ბაკურიანში, როგორ სრულდება რესპუბლიკის ზემდგომი ორგანოების დადგენილება ამ დაბის რეკონსტრუქცია-გაუმჯობესების შესახებ მოგითხრობთ მე-2 ვეგრდზე.

ბაკურიანი

ჩვენი ზრუნვის მთავარი საგანი!

როგორ ვარაუდობენ, 1966 წელს ბაკურიანში უნდა ჩატარდეს სსრ კავშირის II „თეთრი სპორტაკიადა“, რომელიც ასობით სპორტსმენსა და ათასობით მაყურებელს მიიზიდავს. დიდ მისამართულ სამუშაოებთან ერთად იგი მოითხოვს კეთილმოწყობილი სპორტული ბაზების, პანსიონატების, საცხოვრებელი ბინების, გზებისა და სხვა დამხმარე ნაგებობათა მშენებლობას.

განსაკუთრებით საშურაა მოეწყოს თანამედროვე სწრაფდაშვების, გიგანტური სლალომის, სპეციალური სლალომის ტრასები, ტრამპლინები, ტრასები სხვადასხვა დისტანციებისა და ბიატლონისთვის. „თეთრი ქალაქი“ განკარგულებაში უნდა იყოს: ციგურაობის, ფიგურული სრიალისა და ჰოკეის სათამაშო კომპლექსური მოედნები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, ბაკურიანის, როგორც სპორტული ქალაქის, მშენებლობა დაიწყო 1959 წელს. 1961 წლის მიწურულისთვის უნდა დამთავრებულიყო პირველი რიგის სამუშაოები.

დღისათვის აქ ასეთი სურათებია: დაიწყო თანხები, საშენი მასალა, ენერჯია, რესპუბლიკის მთავრობამ ბაკურიანი ერთხელ კიდევ მოიგონა ამასწინანდელი დადგენილებით.

დღისათვის აქ ასეთი სურათებია:

გზავნი, რომელიც სასიფათოა!

ბაკურიანი ბუნების ნამდვილი შედევრია. როცა მის ცენტრში დგებარს, ყველაფერი მოგაგონებთ უზარმაზარ სტადიონს, რომლის ირგვლივ ტყით დაფარული „ტრიბუნები“ ჩამწყობიებული.



თვითონ ტაფობზე ხშირი, მწვანე მთხასასაე ბალახი იზრდება, მაგრამ არის ერთი რამ, რაც არსებობდა განსხვავებულ ბაკურიანს ნამდვილი სტადიონისგან: ზამთარში შეჭებრების დროს აქაური მაყურებლები მინდორზე დგანან, ხოლო „მოთამაშეები“ — სამთო-სათხილამურო სპორტის ოსტატები — „ტრიბუნებზე“ უჩვენებენ თავიანთ ხელოვნებას.

„ტრიბუნებიდან“ ყველას ჯობს აღმოსავლეთის „კოშკი“ — მთა კოხტა-გორა. არა მარტო იმიტომ, რომ იგი ყველგან მალად და ლამაზია, არამედ იმიტომაც, რომ მის მწვერვალზე სტარტს იღებენ სამთო-სათხილამურო სპორტის ტრასები და ბილიკები.

ჩვენც კოხტა-გორით დავიწყეთ. — არამც და არამც! — ხელი გაიქნია საქართველოს სპორტკავშირის სამთო-სათხილამურო ბაზის დირექტორმა ლევან ფანჯაიძემ, სპორტის იმ სახელგანთქმულმა ოსტატმა, რომლის სათხილამურო „ფინტი“ დღეს „ფანჯაიძის სკი-ლით“ არის ცნობილი. — „თეთრი სპორტაკიადას“ ჩატარება აქ შეუძლებელია...

ლევან ფანჯაიძეს დაეცემა. იგი აქაური კაცია და კარგად იცის თრიალეთური ზეგების ამბავი. ზეგები განსაკუთრებით სახიფათოა

იმ ადგილებში, სადაც ტრასა აღმართი ზონის ჩრდილოეთ ფერდობებზე გადის. ამიტომ საჭიროა მოეწყოს ზეგსაწინააღმდეგო თხრილები, ქრილები, არხები, ქარსაცავი ზოლები.

თანამედროვე სამთო-სათხილამურო სპორტი წარმოუდგენელია მოწინავე ტექნიკის გარეშე: ყველა ტრასა, მოკლე თუ გრძელი, მოითხოვს სატელეფონო კავშირს, ელექტროფიცირებას, რადიოფიცირებას და მსაჯთა ჯიხურებს ყოველ 300 მეტრზე. ქარის შემთხვევაში სპორტსმენს საშუალება უნდა ჰქონდეს

კოსტა-გორაზე ყველაფერი კოსტაა?..

თავი შეაფაროს რკინა-ბეტონის საფარს, სადაც იქნება აუცილებლად საჭირო ცხელი ჩაი, კაკაო და სხვ.

ეს სპორტსმენებისა და მათი მსაჯებისთვის. მაყურებლებისთვის კი საჭიროა: კოსტა-გორის მიდამოებში აშენდეს სადგომები 1.000 მანქანისთვის, გაფართოვდეს ბორჯომ-ბაკურიანის ვიწრო სერპანტინი.

ყველაფერი ეს რომ გახორციელდეს, აუცილებელია სპორტსმენთა კონსულტანტები, მშენებლობის პროექტები და სამშენებლო ორგანიზაცია, რომელიც ამ საქმეს ითავებს და ხელს მოჰკიდებდა. სამუშაო ხაროდ, არც ერთს, არც მეორეს, არც მესამეს დღემდე არაინ ეძებს... კვლავ ვადაუწყვეტილია ახალი ტრასების, ტრამპლინების, საბაგირო გზის მშენებლობის საკითხი, გენერალური გეგმა კი ყველაფერს ითვალისწინებს.

ქროხების „პანსიონატი“

ხბო, რომელსაც ამ სურათზე ხედავთ, ბუნებით არ არის პრანჟია. იგი, ცხადია, ჩვეულებრივი ხბოა. მაგრამ, როგორც მისი პოზიციონიდან ჩანს, მას მეტისმეტად მოწონს თავისი ფიგურა. რომელიც მარცხნივ კაფელის კედელზეა გამოსახული. ხბოს მოწონს აგრეთვე პარკეტის იატაკი, თანამედროვე ფართომინიანი საკმელები, ფასადი-მოდერნი, ქათვათა პირსაბნები...

ყოველივე ამას ხბო უნდა უმადლოდეს გორის მე-9 ტრენის ბორჯომის სამშენებლო სამმართველოს, რომელიც ამ უპატრონო სასადილოს ავტორია.

სასადილოს მშენებლობა დამთავრდა 1963 წელს. მშენებლებს ეგონათ, რომ მათი აშენებული სასადილო მოეწონებოდა ბორჯომის „კურორტკავშირის“ დირექტორს ან გიგიტაშვილს, რომელმაც სასადილო სპორტული ქალაქისთვის დაუკვეთა. შეცდნენ! ნახა თუ არა გიგიტაშვილმა სასადილო, თქვა:

— ეს რა სასადილოა, არც ცენტრალური გათბობა აქვს და არც ცხელი წყალი!

ამის შემდეგ „სასადილო“ ყველამ მივიწყა. ლამ-ლამობით მოდიოდნენ მმართველები, ხსნიდნენ და მიმქონდათ ელექტრომოწყობილობა, მინები, ჩარჩოები...

შემდეგ მოვიდნენ ქროხები, ხარები და ხბოები, რომლებმაც სასადილო-მოდერნი თავიანთ სადგომად გაიხადეს...

„სკილო“. რომელიც არ მოძრაობს

სამთო-სათხილამურო ბაზის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბაკურიანის არც თუ სასახელო ეპოქაში. საქმე მხოლოდ ის კი არ არის, რომ მისი მშენებლობა ორი წლის წინათ უნდა დამთავრებულიყო; საქმე არც ის არის, რომ პროექტის ავტორებმა სამსართულიანი პანსიონატისთვის, რომელიც 204 კაცზეა გათვალისწინებული, დაივიწყეს უბრალო რამ... ენერჯალუ-

ტექნიკოსებს ცხელი წყალი საბირფარეშოა უნიტაბებისთვის შეუერთებული. ხოლო ცივი — მზაპების სისტემისთვის. საბოლოოდ, საჭირო გახდა ხელახალი რემონტი, რეკონსტრუქცია და დავიდარება.

დავიდარებამ გამოიწვია ახალი გასაჭირი. კედლები, რომლებიც წყალმა დააღობა, ხელახლა შესაღობა და შესათეთრებელია.

— კი მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, როდის უნდა ჩაიბაროთ სასტუმრო? — ვეითხებით ახალდა-

ნიშნულ დირექტორს ი. კოხანაშვილს.

იგი მივივითხებ ჩამონგრეულ კედლებზე, „ბუდიდან“ ამოცვენილ პარკეტზე, ელექტრონათურებზე, რომლებიც რატომღაც არ ანათებენ, გადაუხურავ კიბეზე, წყლით ავსებულ სარდაფზე და ამბობს:

— ეს ჰკითხეთ მშენებლებს, ალბათ, მათ არ იციან, რომ ამ სასტუმროს უქონლობით სახელმწიფო ყოველდღიურად 200-250 მანეთს კარგავს...

ლენინგრადელი ვერონიკა: Вперед, к берегам южного моря, через бакурианский сосновый бор! Какая прелесть!

დღემდე ობიექტზე მუშაობდა 35 კაცი. 23 ივლისიდან მუშები წავიდნენ სხვა სამუშაოზე — თვის სათიბავად. თვითნებურად გაიქცნენ: დურგლები გიორგი ქუმარიტაშვილი, იაშა პილივეი, თამაზ მალაქაიძე...

სად არიან ნანა, რეზო, ვერონიკა?...

როგორც გამოირკვა, მშენებლობას ცუდად ამარაგებენ მექანიკებით, მატერიალური ნაწილებით. მშენებლობის ერთადერთი ამწე, რომელსაც მუშები ხუმრობით სპილოს უწოდებდნენ, მოიშალა. იგი არ მოძრაობს ლიანდაგზე, ამიტომ ბეტონის აზიდვა და სხვა მძიმე სამუშაოების შესრულება ხელით უხდებათ.

„მეზური ველის“ შავი ლაქები

კლდეპარის ციხეს მზე აშუქებს, ამოვარდება გრივად, შემდეგ მოვა თოვლი, კვლავ გამოაშუქებს მზე და ასე საუკუნეთა განმავლობაში. ბუნების ეს ჰირველობა არღვევს ქვას, შლის კლდეს, მაგრამ ვერას ავლებს ძველთაძველ ციხეს, ამყადა რომ წამოქიმულა ცადატყორცნილ ქიმზე.

— რაშია საქმე? — ვეითხებით ბორჯომის სამშენებლო სამმართველოს უფროსს ანს. ა. ასათიანს — ნუთუ თქვენ არ შეგიძლიათ ასეთი მასალის დამზადება? — როგორ არა, შეგიძლია, მაგრამ...

მაგრამ ფაქტი ფაქტია. ბაკურიანის ახალგაზრდობის საერთაშორისო ბანაკი „მეზური ველი“, რომლის მშენებლობის პირველი ნაწილი შარშან უნდა დამთავრებულიყო, ჯერ კიდევ ხარაჩობში დგას. როგორც გამოირკვა, აქაც გაურთულდათ „კედლებს პრობლემა“.

რაშია საქმე? აღმოჩნდა, რომ

ტექნიკოსებს ცხელი წყალი საბირფარეშოა უნიტაბებისთვის შეუერთებული. ხოლო ცივი — მზაპების სისტემისთვის. საბოლოოდ, საჭირო გახდა ხელახალი რემონტი, რეკონსტრუქცია და დავიდარება.

დავიდარებამ გამოიწვია ახალი გასაჭირი. კედლები, რომლებიც წყალმა დააღობა, ხელახლა შესაღობა და შესათეთრებელია.

— კი მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, როდის უნდა ჩაიბაროთ სასტუმრო? — ვეითხებით ახალდა-

ნიშნულ დირექტორს ი. კოხანაშვილს.

იგი მივივითხებ ჩამონგრეულ კედლებზე, „ბუდიდან“ ამოცვენილ პარკეტზე, ელექტრონათურებზე, რომლებიც რატომღაც არ ანათებენ, გადაუხურავ კიბეზე, წყლით ავსებულ სარდაფზე და ამბობს:

— ეს ჰკითხეთ მშენებლებს, ალბათ, მათ არ იციან, რომ ამ სასტუმროს უქონლობით სახელმწიფო ყოველდღიურად 200-250 მანეთს კარგავს...

ლენინგრადელი ვერონიკა: Вперед, к берегам южного моря, через бакурианский сосновый бор! Какая прелесть!

დღემდე ობიექტზე მუშაობდა 35 კაცი. 23 ივლისიდან მუშები წავიდნენ სხვა სამუშაოზე — თვის სათიბავად. თვითნებურად გაიქცნენ: დურგლები გიორგი ქუმარიტაშვილი, იაშა პილივეი, თამაზ მალაქაიძე...

სად არიან ნანა, რეზო, ვერონიკა?...

როგორც გამოირკვა, მშენებლობას ცუდად ამარაგებენ მექანიკებით, მატერიალური ნაწილებით. მშენებლობის ერთადერთი ამწე, რომელსაც მუშები ხუმრობით სპილოს უწოდებდნენ, მოიშალა. იგი არ მოძრაობს ლიანდაგზე, ამიტომ ბეტონის აზიდვა და სხვა მძიმე სამუშაოების შესრულება ხელით უხდებათ.

— რაშია საქმე? — ვეითხებით ბორჯომის სამშენებლო სამმართველოს უფროსს ანს. ა. ასათიანს — ნუთუ თქვენ არ შეგიძლიათ ასეთი მასალის დამზადება? — როგორ არა, შეგიძლია, მაგრამ...

მაგრამ ფაქტი ფაქტია. ბაკურიანის ახალგაზრდობის საერთაშორისო ბანაკი „მეზური ველი“, რომლის მშენებლობის პირველი ნაწილი შარშან უნდა დამთავრებულიყო, ჯერ კიდევ ხარაჩობში დგას. როგორც გამოირკვა, აქაც გაურთულდათ „კედლებს პრობლემა“.

რაშია საქმე? აღმოჩნდა, რომ

ოდნავ, სულ ოდნავ მიიხატუნეთ კარი და ჰერდინე იატაკამდე ნაბრალიც მზად არის. დახეტიალ კედლებს კი ხელახალი ამოყვება, შეღვსება, შეღებვა და სხვა პროცედურა უხდა.

ძღვებები ი. კალიბერგინი ჩივის: — კედლები ინგოვება, მაგამ არც კარებს ადგას კარგი დღე. ამ კარს უკვე მეითხევერ ვარეობტებ.

იმის კითხვა: როგორია „მეზური ველში“ შრომითი დისციპლინა? თუმცა რა დისციპლინაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ერთადერთი სატექნიკის მძღოლი თვითნებურად წავიდა, ხოლო

მექანიკოსის ბაზის უფროსმა ვ. ნოზაძემ არც

კი იცის, ვინ იყო, საიდან იყო და რა გვარი იყო იგი. ამის შედეგად შეჩერებულია ასფალტის მოგება და მიწის სხვა სამუშაოები.

ახალგაზრდობის საერთაშორისო ბანაკს კი ეს არ ეკადრება!

„უნიდისო“ ნიადაგი

ბაკურიანს არ ჰქონდა საკმაოდ კარგი წყალი. კარგი საქმე გააკეთეს სათანადო ორგანოებმა, როცა

თრიალეთის მიდებში ახალი წყაროები გამოებნენ. ახალმა ნაკადმა ერთიორად გაზარდა წყლის დებოტი. მაგრამ მოხდა ის, რაც ხალხურ ანდაზაშია ნათქვამი, ოღონდ... მებრუნებულად: ზოგი სიკეთე ქირაია, როგორც გამოირკვა, წყალი როგორც მაკარონს, ისე ამტვრევდა მიწისქვეშა მღვლებს.

— რა არის ეს? — უპვირდა წყალსადენის ავტორს, — „საქსოფელექტრომშენს“ და მშენებლებს აზარლებდა: მიღები ცუდად ჩაიწყვიათ, ახლავე გაასწორეთ. მშენებლები კი გაიძახოდნენ: ჩვენი რა ბრალია, მიღების სტანდარტი არ ვარგათ.




საბოლოოდ ერთი ც გამართლდა და მეორეც. გამტყუნდა... ჰობიანსი ნიადაგი.

ახლა საჭიროა ბაკურიანის წრიული გზის გასწვრივ ჩადებული წყალსადენის ამოღება, ახალი ადგილის მოძებნა, ახალი მიღების შექნა, ახალი... თუმცა ესეც უკმაა. ყველაფერი ეს სამი წყალსადენის მშენებლობას უდრის...

ბ. შაროსანიძე (ჩვენი სტეც. კორ.)

ბაკურიანი.

ასე ხვდება ბაკურიანი გათორის მომავალ სეზონს



ეს სურათები ბაკურიანის სხვადასხვა სპორტული ობიექტის მშენებლობაზე მოგვითხრობენ. ამ ობიექტებზე გასულ წელსაც გვირჩნდა საუბარი, მას შემდეგ თითქმის ერთი წელი გავიდა, ზოგიერთის საქმსლოატაციოდ გადაცემის ვადა მიიწურა, მშენებლობა კი იმდენად ნელი ტემპით იმდრის, რომ ოდნავდაც არ შეეფერება თანამედროვე ტექნიკას, თუმცა ტექნიკა რა შუაშია, როცა მომზარებლები და მშენებლები არ ზრუნავენ მათზე დაკისრებული შესრულებისთვის. მაჯვნივ ზევით — თქვენ ხედავთ ახალგაზრდობის საერთაშორისო ბანაკის სასადილოს; ქვევით მარცხნივ — საქართველოს სპორტკავშირის სამთო-სათხილამურო „ბანაკი“; მარჯვნივ — ტურისტთა ბაზის „ახალი კორპუსი“.

ფოტო ფ. კრიმსკია.



დასავლეთ კავკასიონზე

ამ რამდენიმე დღის წინ თბილისში დაბრუნდა „კავკასიონის“ რესპუბლიკური საგროს ალპინისტური მესამედივიზი, რომელიც ავიდა დასავლეთ კავკასიონის მწვერვალებზე.

...უკვე ოთხი დღეა შეუჩერებლად თოვლის ფანტელები წელა ეშვებიან კლდეებზე და თითქმის სულ უთოვლო მარშრუტი პამირის მწვერვალებით გადათრეხული ხდება. ქართულ მთასვლელობა ორი ჯგუფი კარგებში ზის. მათ სულ რაღაც 100 მეტრი აცილებს ერთმანეთისგან, მაგრამ ეს მცირე მანძილი ასეთ ამინდში დიდი დაბრკოლებაა.

კლდეები კედლის თავზე მსხდომი სამი მთასვლელი კავშირს 100 მეტრით ქვევით მყოფებთან მხოლოდ რადიოთი ამყარებს. „მხედველობა არაა, მოძრაობა შეუძლებელია, ველოდებით გამოდარებას“.

მხოლოდ მაშინ გამოდარა, როცა ახალი თოვლის საფარი თითქმის ერთ მეტრს მიაღწია. პორიფორიანი პორფირიტები ცა მუქი ლურჯია. მაგრამ მიღებულია გადაწყვეტილება: ექვსივემ! ავდარმა თავისი ბორბლი საქმე უკვე გააკეთა, დათოვლილი კლდეები სამოდროდ მეტად საშიშია, მოსალოდნელია ზვავები... მთასვლელებიც მთელი კვირა უქმად ჯდომით მოდუნდნენ და სანოვავის მარაგიც ამოუკურათ.

კედლის თავზე მსხდომი მწვერვალის გადავლით უკან ბრუნდებიან. ქვევით მყოფნი კი — თოვლიანი უნაგრობით და კულუარით. ჯგუფები მხოლოდ ქვემოთ, ბანაკში ხვდებიან ერთმანეთს.

ორი დღის კარგი ამინდი საკმარისია თოვლის ჩამოსაწვევად და აი, მთასვლელების ერთი ჯგუფი ისევ იმავე მწვერვალს უტევს. ეს მწვერვალი აქსაუტების მასივია დასავლეთ კავკასიონზე, დომბაის რაიონში. ჯგუფში ხუთი კაცია — შ. მირიანაშვილი, ვ. თევდორაშვილი, ო. ხაზარაძე, გ. მანაგაძე და ამ სტრეიტიზების ავტორი.

თუმცა მზეს კარგად უმუშავია, მაგრამ თოვლი მაინც ბლომადაა. წინ მიმავალი წერაყინით პალკებისთვის წმენდს ქიმებს და ნაპარაკებს. დღის ბოლოს ვალწევთ იმ ადგილს, საიდანაც ხელცარიელი გამთებრუნდით ორი დღის უკან. ამინდი ჯერჯერობით ხელს გვიწყობს. კიდევ ერთი დღე — ვიწრო, კლდეან ქედზე და მასივის სამი მწვერვალი უკვე დაპყრობილია, მაგრამ წინ კი კიდევ სამი ბასტიონია ასაღები და, მათ შორის, საკვანძო მწვერვალი, რომლის 150-მეტრიანი კედელი უნაგროდან თითქოს მიუდგომელი ჩანს.

„ლიდერი“ ნელა მიიწევს ზევით, ყოველ სამ-ოთხ მეტრში პალკის ასობს. კლდეები დარი, რომელსაც მიეცემით, ზევით დასრულ თაროში გადადის, თარო კი შვეულ კედელს ებჯინება. რამდენიმე მეტრის გაუვლელი მთელ საათს ვანდობებით. შემდეგ კიდევ სამი ათეული მეტრი პიტალო გრანიტზე და უკვე ქედზე ვართ... სწრაფად ვიწვეთ ზევით მწვერვალამდე.

მწვერვლიდან ორჯერ ვეშვებით 40-მეტრიანი თოვლელ დულფერით და ისევ უნაგროზე ვხვდებით ერთმანეთს, აქედან კი კვლავ ზევით, მასივის შუა მწვერვალისკენ ვმოძრაობთ მისი ჩრდი-

ლოვით კედლით. ნაშუადღევს კიდევ ერთი ბარათი იწერება გამარჯვების აღსანიშნავად... დილით ნისლი ოდნავ გაიფანტა და მზეს ვასწრებთ ამოსვლას, სწრაფი ტემპით ვძლევთ უკანასკნელ დაბრკოლებას, მთავარ მწვერვალს. მერე შედარებით მარტივი გზით ვეშვებით მწვერვაზე, ჩხალტის ხეობაში.

აქსაუტების მასივის ტრავერსი დამთავრებულია! ბანაკში, სადაც ჩვენი პატარა ექსპედიციის ბანაკი, გულბობილად გვილოცავენ გამარჯვებას.

ლ. ლლონი ფოტო ავტორისა.



ლოვით კედლით. ნაშუადღევს კიდევ ერთი ბარათი იწერება გამარჯვების აღსანიშნავად... დილით ნისლი ოდნავ გაიფანტა და მზეს ვასწრებთ ამოსვლას, სწრაფი ტემპით ვძლევთ უკანასკნელ დაბრკოლებას, მთავარ მწვერვალს. მერე შედარებით მარტივი გზით ვეშვებით მწვერვაზე, ჩხალტის ხეობაში.

და აი, რომიც!.. 1960 წლის XVII ოლიმპიური თამაშები... აქ არ შეუძლებთ ტანვარჯიშული ბრძოლების პერიპეტიათა აღწერას. მოვიტანთ მხოლოდ პატარა ამინაწერის იმდროინდელი „სოვეტსკი სპორტიდან“: „იმას, რაზედაც იაპონელები თენებობდნენ ჰელსინკში, რასთანაც ახლოს იყვნენ მელბურნში, მათ ბოლოს და ბოლოს მიაღწიეს რომში“... რომში მ. შახლინის უძღვევლმა გუნდმა პირველად გახსცა და ფიასკო: იაპონელმა ტანვარჯიშეებმა შეძლეს გუნდური გამარჯვების მოპოვება და ფეხი შედგეს მათთვის ესოდენ სანუკვარ უმაღლეს საფეხურზე. 575,20 ქულა — ჩვენი 572,70 ქულის საპირისპიროდ — ასეთი იყო მათი ტრიუმფის ციფრობრივი გამოსატყულებ რომის ასპარეზობის დამთავრების შემდეგ.

ტანვარჯიშით ტრაკული ღუმს

პირისპიროდ) და ამით დამატკეცეს, რომ მათი ოლიმპიური გამარჯვება ორი წლის წინათ შემთხვევითი არ იყო. რა შეიძლება კიდევ ითქვას? წარსულთან დაკავშირებით მხოლოდ ის, რომ მიუხედავად ამ ორი უკანასკნელი გუნდური გამარჯვებისა, პირად ჩათვალაში ჩვენი ცალკეული ტანვარჯიშეები კვლავ უცვლელად ინარჩუნებდნენ ჩემპიონის გვირგვინებს. მაგრამ, ამასთან, ისინი აქაც ასევე უცვლელად გრძობდნენ „კვლში ჩამჯდარი“ მეტოქეების სასიფათო სიახლოვეს: ოლიმპიადამდე მ. შახლინმა მხოლოდ 0,05 ქულით მოუგო იაპონელ ტ. ონის (115,95:115,90), ხოლო მსოფლიო ჩემპიონატზე ი. ტიტოვმა ასეთივე მცირე სხვაობით დამარცხა ონის „უმუალო“ მეტოქედრე ი. ენდო (115,65:115,5).

მაგრამ მთავარია მომავლის პროგნოზები! ამასთან დაკავშირებით კი ორ-აკული ღუმს. მას შეტად ეძნელება რაიმეს თქმა, ვარა ურთისა: ბრძოლა უმავალითად დამაბული იქნება! არის ორი გარემოება: იაპონელებს, უეჭველია, დაეხმარება „მშობლიური კედლები“ ფაქტორი, ხოლო საბჭოთა ტანვარჯიშეებს — რევანსისკენ დაუკვეთელი სწრაფვა და რეაბილიტაციის მძაფრი სურვილი.


შ. ვალაჰორია

თარჯიმანთა კონკურსი

თოკიოს XVIII ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა ჩაატარა თარჯიმანების კონკურსი, რომელშიც მონაწილეობდა 4.000-ზე მეტი კაცი. მათ შორის 1.200-მა წარმატებით ჩააბარა გამოცდა, — ისინი მომსახურებას გაუწევენ სპორტმენებსა და ოლიმპიადის სტუმარებს. სასწავლო-მეთოდური თავიანთი სურვილით თარჯიმანობას გაუწევენ აგრეთვე 25 ათასი კაცი, რომელთაც შეუძლიათ ცნობები გასცენ რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, ესპანურ, იტალიურ, პორტუგალიურ, ჩინურ და სხვა ენებზე.

ტოკიოს რინგი

ტოკიოს თამაშების საორბიული იქნება უმთავრესად ის სპორტული ნაგებობანი, რომლებიც ოლიმპიადის მასპინძლებმა უკანასკნელ ხანებში ააგეს. ძალზე ცოტა შეხვედრა დანიშნული ძველ სპორტულ დარბაზებსა და მოედნებზე. ოლიმპიელთა მისაღებად ეშვადება დასურული საციფრო „კორიკუნი“. მოკრძევა აქ გამართულ შეჯიბრებებს ყოველდღიურად 4.000 კაცი დაესწრება.




ზიცების შორეულ მისადგომებთანაც

ლაპარაკია ვაჟთა გუნდებზე. ლაპარაკია ი. ტიტოვზე, მ. შახლინზე, ვ. ლეონტიევზე, ვ. ლისიკიზე და მათ „თანამესაგრეებზე“. ერთის მხრივ, და ი. ენდოზე, ტ. ონოზე, ს. ცურუმზე და სხვა იაპონელ „ვარსკვლავებზე“. მეორეს მხრივ, ლაპარაკია ოლიმპიურ თამაშებში უწინასწარმეტყველებენ ოქროსა და ვერცხლის მედლებს, მაგრამ დამოუკიდებელი ვერ გაურკვევიათ, თუ სახელდობრ რომელი მათგანი გასდება ტოკიოს ბატალიონის შემდეგ „ოქროს გუნდი“ და რომელი — „ვერცხლისა“.

ეს დავა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, დაახლოებით 12 წლის წინ დაიწყო. მანამდე (და შემდეგაც, კარგა ხნის მანძილზე) საბჭოთა ტანვარჯიშე ვაჟებს ისევე მტკიცედ, თითქმის კონსტრუქციის გარეშე კმობდათ გარანტირებული მსოფლიო ტანვარჯიშის

მეთაურის როლი, როგორც ახლა — ჩვენს ქალებს. 1952 წელს, ჰელსინკის ოლიმპიადამდე, თითქოსდა მყარ საფუძველზე მდგარი სალიდერო ტანტი ოდნავ შეირხა. ამ ოლიმპიადის შემდეგ სხვადასხვა ქვეყნის სპორტული განუთების ფურცლებზე პირველად გამოჩნდა „სკანავაში“ ცნობები: „მეუღლარებელ რუს გიმნასტებს, ბოლოს და ბოლოს, ეტყობა, გამოუჩნდათ კონკურენტები“. სპეციალისტებმა დაადასტურეს ეს პროგნოზი. მართლაც და, ამომავალი მზის ქვეყნის სპორტსმენებმა ჰელსინკში აშკარად გამოთქვეს პრეტენზია, რომ სატანვარჯიშო მწვერვალის „ფართობი“ გადააწილებას მითითებს.

პრეტენზია — პრეტენზიად, მაგრამ მთავარია საქმე, „საქმე“ კი იაპონელებმა ვერ დამტკიცეს ვერც მელბურნის 1956 წლის ოლიმპიურ თამაშებში. საბჭოთა ტანვარჯიშეები კვლავ ძლიერმოსილად დაბრუნდნენ საშობლოში შორეული ავსტრალიიდან, თუმ-



ჰედსინკი, მელბურნი, რომი, ტოკიო...

გათამაშების კალენდარი

- 26. „ლოკომოტივი“ (თბ) — „კარპატი“.
- 26. „ლოკომოტივი“ (თბ) — სკა, „ტრაქტორი“ — „არარატი“, „ტრუდი“ — „შახტიორი“, „ურალმაში“ — „ალგა“, „სპარტაკი“ — „მეტალურგი“, „ლოკომოტივი“ (მ) — „დინამო“, „დნეპრი“ — „კარპატი“.
- 31. სკა — „დნეპრი“, „ტრაქტორი“ — „ლოკომოტივი“ (თბ), „შახტიორი“ — „ურალმაში“, „კარპატი“ — „სპარტაკი“, „დინამო“ — „მეტალურგი“.
- 7. „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი), „ტრუდი“ (ვორონეჟი) — „ტრაქტორი“ (ვოლოგოდადი), „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „არარატი“ (ერევანი), „კარპატი“ (ლევი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე), „სპარტაკი“ (გომელი) — „შახტიორი“ (ყარაღანდა), „ალგა“ (ფრუზზე) — „დინამო“ (ტალინი).
- 12. „ურალმაში“ — „დინამო“, „ალგა“ — „ლოკომოტივი“ (მ), „შახტიორი“ — „დნეპრი“, „კარპატი“ — „ტრაქტორი“, „სპარტაკი“ — „ტრუდი“, „მეტალურგი“ — სკა (ოლესი).
- 13. „არარატი“ — „ლოკომოტივი“ (თბ).
- 17. „არარატი“ — „კარპატი“, „ურალმაში“ — „სპარტაკი“, „მეტალურგი“ — „ლოკომოტივი“ (თბ), „ალგა“ — „დნეპრი“, „შახტიორი“ — „ლოკომოტივი“ (მ), სკა — „ტრაქტორი“, „დინამო“ — „ტრუდი“.
- 22. „არარატი“ — სკა, „ტრუდი“ — „ალგა“, „დინამო“ — „შახტიორი“, „ლოკომოტივი“ (მ) — „მე-

სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

- 17. „ალანანი“ — „სპარტაკი“ (ნალიჩი), „მეტალურგი“ (რ) — „დინამო“ (სტავროპოლი), „შირაქი“ — „კოლხიდა“, „ლორი“ — „დინამო“ (ბათუმი), „ლერნავორცი“ — „დინამო“ (სოხუმი).
- 22. „დინამო“ (სოხუმი) — „დინამო“ (კიროვობადი), „კოლხიდა“ — „ალანანი“, „დინამო“ (ბათუმი) — „მეტალურგი“ (რ).
- 27. „დინამო“ (სოხუმი) — „მეტალურგი“ (რ), „კოლხიდა“ — „დინამო“ (კიროვობადი), „დინამო“ (ბათუმი) — „ალანანი“.

ჩემპიონატები

- ჩატარდა „კოლმეურის“ რაიონული საბჭოს სპარტაკიად, რომლის პროგრამაში იყო სპორტის შვიდი სახეობა. თავისუფალ და კლასიკურ ჰილათობაში გაიმარჯვეს სოფელ შრომის სპორტსმენებმა, კალათბურთსა და ფეხბურთში — ლითურის, ფრენბურთსა და ძალოსნობაში — ნატანების, ხოლო მძლეობაში — ზვანის წარმომადგენლებმა.
- საერთო გუნდური პირველობა შრომელებს დაჩაია.
- 3. შავიშვილი

რსფსრ-ს IV ზონა (ჩვენი რესპუბლიკის გუნდებისთვის) აბსისტო

- 7. „ალანანი“ (გურჯაანი) — „დინამო“ (სტავროპოლი), „მეტალურგი“ (რუსთავი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე), „შირაქი“ (ლეინაქანი) — „დინამო“ (სოხუმი), „ლორი“ (კიროვობადი) — „კოლხიდა“ (ფოთი), „ლერნავორცი“ (კაფანი) — „დინამო“ (ბათუმი).
- 12. „ალანანი“ — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე), „მეტალურგი“ (რ) — „სპარტაკი“ (ნალიჩი), „შირაქი“ — „დინამო“ (ბათუმი), „ლორი“ — „დინამო“ (სოხუმი), „ლერნავორცი“ — „კოლხიდა“.

"ცნობი" ფაქილანი წყვეტა

ჩვენი გავითბა ა. წ. 10 ივნისის ნომერში დაბეჭდილი წერილი — „რას ბუტბუტებდა დარბაზი“ — ეხებოდა 26 კომპარის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნის უპატრონოდ მიტოვებულ სპორტულ დარბაზს. იგი შეაკეთებლად და საექსპლუატაციოდ გადაეცა ლენინის რაიონის განათლების განყოფილებას. მაგრამ დრო გადიოდა და დარბაზი მაინც არავის შეუკეთებია.

როგორც ლენინის რაიონის განათლების განყოფილების გამგე აშ. მ. გოგიტაძე გვატობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. ამჟამად შედგენილია პროექტი, სარკაოლრცხვა და მალე დაიწყება სპორტდარბაზის შეკეთება.

საქართველო

9 საათი — თავისუფალ პარეადში...

4.000 ნახტომი... ამდენჯერ არ ვადამოხმტარა მსოფლიოს არც ერთი პარაშუტისტი. 3.000-იან პარაშუტისტიმ მსოფლიოს ისტორიის მთელ მანძილზე გადააქარბა მსოფლიო ორმა აღმართმა: საბჭოთა კავშირის გმირმა ვ. რომანიუკმა და ოფიცერმა ი. სავეინმა. რომანიუკმა ეს გააკეთა 1959 წელს, სავეინმა კი ერთი წლით გვიან, მაგრამ მან მალე გაუსწრო სახელგანთქმულ გამომცდელს და პირველმა მიაღწია 4.000-ს!

...მრავალრიცხოვან მათგან ერთ მშვენიერ დღეს აეროდრომზე, აქ მთავრდებოდა პარაშუტისტთა შეჯიბრება და უკეთესთაგან საუკეთესონი საჩვენებელ ნახტომებს აეთებდნენ.

1.000 მეტრის სიმაღლეზე გამოჩნდა მწვანე „ან-2“. მას გამოეყო პატარა მოძრავი ფიგურა და თითქმის მშინვე გაიშალა თეთრი თალი. მწვანე მინდორზე სასიგნალო ზეწრების მახლობლად მას უკვე ელოდებოდნენ აზნაგები. სპორტსმენი რბილად დაეშვა წრის თითქმის ცენტრში. წამის შემდეგ იგი კვლავ პაერში იყო, მაგრამ ამჯერად პარაშუტისტი ამზანაგების ხელეშმა ააგდეს ზევით. მას განსაკუთრებული აღფრთოვანებით ესროდნენ — ეს ხომ სავეინის მეოთხეათასე ნახტომი იყო!

50 წლის საბჭოთა ოფიცერიმ სავეინმა თავისებური მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მან თითქმის 2.000 ნახტომით აჯობა ყველაზე უფრო სახელგანთქმულ საფეარგარეთელ პარაშუტისტებს.

...ივანე სავეინი ბავშვობიდანვე „დავადა“ საპარაშუტო სპორტით, ჯერ კიდევ მშინ, როცა ზეინკლად მუშაობდა მოსკოვის ერთ-ერთ ქარხანაში. 1935 წელს იგი პირველად გადმოხტა პარაშუტით. მას მერე მისი ბედი ამ მამაცურ სპორტთანა დაკავშირებული. ამ ხნის განმავლობაში მან პაერში „იგრიანა“ დაახლოებით 6.000 კილომეტრი, 9 საათი დამყო თავისუფალ ვარდნაში...

თითქმის ყოველი მეოთხე ნახტომი სავეინისა ან ექსპერიმენტულია, ან გამოსაცადი. იგი ავტორია რამდენიმე საკავშირო და მსოფლიო რეკორდისა, არა ერთხელ გამოსულა საავიაციო დღესასწაულზე ტუმნოს აეროდრომზე.

სპორტის ოსტატი, პოდმოლკოვნიკი სავეინი ახლა ახალგაზრდა პარაშუტისტებს ზრდის. მის მოწაფეთა შორის არის 1 სპორტის დამსახურებული ოსტატი, 16 სპორტის ოსტატი და მრავალი თანრიგოსანი.

ბ. ბირიუკოვი

ეს პლიმერი მეტოქეა

თბილისელი ფეხბურთის მოყვარული პირველად ნახავერ საბურთის გუნდს. ესაა ამ ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი საკლუბო კოლექტივი — „პანიონისი“.

ბერძენ ფეხბურთელთა ვიზიტი ჩვენს ქვეყანაში საინტერესოა თუნდაც მხოლოდ იმით, რომ ეს ქვეყანა მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფის სსრ კავშირის ნაკრებთან ერთადამა მოხვედრილი. ამიტომ ბერძენული ფეხბურთის მოწინავე გუნდის ჩამოსვლა გარკვეულ წარმოდგენას შექმნის ჩვენი მეტოქის საერთო ძალაზე.

„პანიონისი“ გენელოგიური შტო აღწევს 1898 წლამდე. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეს, ქ. იშირში (სმირნა) ჩამოყალიბდა კლუბი, როცა ფეხბურთი საერთოდ უცხო ხილი იყო აზიის მისაღვამებთან. შემდგომში, როცა 1932 წელს ეს ქალაქი თურქეთის მფლობელობაში გადავიდა, „პანიონისი“ მთელი თავისი შემადგენლობით საბერძნეთში დარჩა და, როგორც შედეგად, დღემდე ელადის დროშით გამოდის.

1961 წლამდე საბერძნეთში არ ტარდებოდა ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატები, როგორც ეს საერთოდაც მიღებული. ამ ქვეყნის დიდ ოლქებსა და ქალაქებში დამოუკიდებლად იმართებოდა გათამაშებები და გამარჯვებულები შეხვდებოდათ თამაშობდნენ ერთმანეთს შორის. „პანიონისი“ ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდა ამ შეჯიბრებებში და წარმატებითაც.

სულ ოთხივე წელი საბერძნეთში შეიქმნა მუდმივმოქმედი უმაღლესი ლიგა 16 გუნდის შემადგენლობით, რომლებიც თამაშობენ ჩემპიონის წოდებისათვის, აგრეთვე „ბ“ კლასი (60 გუნდი). სისტემატურად ეწყობა თასის გათამაშებაც.

საინტერესოა ჩემპიონატის ამ ქვეყანაში შემოღებული ჩათვლითი სისტემა, რომელიც გამოიყენეს

წარმოდგენს საერთაშორისო ფეხბურთში: აქ გამარჯვებისთვის იწერება 3 ქულა, ფრე — 2 და წაგება — 1.


ჩვენი ელადელი სტუმრები საბერძნეთის ახლახან დამთავრებულ ჩემპიონატში გამოვიდნენ IV ადგილზე. მათს აქტივშია 63 ქულა (ბურთების შეფარდება — 48:31). მეოთხე ადგილი, თავისთავად ურიგო არაა, მაგრამ „პანიონისის“ ხელშემდგენლობას წლებიანდელი სეზონი მაინც წარუმატებლად მიანია, ვინაიდან გუნდი შარშან II ადგილზე იმყოფებოდა და აღრე ორჯერ აქვს მიღებული მონაწილეობა თასის ფინალურ მატჩებში.

„პანიონისი“ ძალზე ახალგაზრდა გუნდია. მის შემადგენლობაში შემავალ მოთამაშეთა საერთო საშუალო ასაკია 21-22 წელი. ესაა ძირითადი სტუდენტები და მოსამსახურეები, რომელთაგან რამდენიმე ეროვნულ ნაკრებშიც შედის.

გერმანული გენერალიზაცია ფეხბურთელში თბილისში

სსრ კავშირში ჩამოსვლამდე „პანიონისი“ მზავრობდა იტალიურ-გერმანულ გენერალთა „საინტელთან“ (1:1) და ზაგრების „ლინკოსთან“ (2:2). ეს შედეგები ნათლად მეტყველებენ ბერძენ ფეხბურთელთა ძალაზე. გარდა ამისა, „პანიონისი“ ფრედ ითამაშა შვეიცარიის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბ „მალმესთან“—1:1.

დაბოლოს, ბერძენის პირველი მატჩი ჩვენს ქვეყანაში შედგა 4 აგვისტოს. მათ ფრედ (3:3) დაამთავრეს შეხვედრა მოსკოვის „ტორპედოსთან“ (სტუმართაგან ბურთები გაიტანეს: ხაილასმა, დედასმა და სარავაკოსმა — 11-მეტრიანი სჯარბიოდან). ყველაფერი ეს გვაფიქრებინებს, რომ თბილისის „ლოკომოტივს“ ხვალ მეტად ძლიერი და საინტერესო მეტოქე ეყოლება.



კვირადღე რუსთავეში

განუწყვეტლივ გუგუნებენ მარტენის საამქროს ლუმენები, ბოლავენ აზოტოვანი სასუქების ქარხნის ცადატორცილი მილიები, წუთით არ ჩერდება სინთეზური ბოჭკოს ქარხნის მანქანები... შრომის ფერხულშია ჩამბული რუსთავე. მამაცურად შრომობენ სპორტსმენებიც. კვირა დღეს ვი ყველანი საინტერესო სახანაობათა მოწმენი ხდებიან, რეგულარულად იმართება შეჯიბრებები, მასობრივი სტრატეგია... ასე იყო გასულ კვირასაც.

მშენებელთა დასახლების საცურაო აუზთან მრავალ ახალგაზრდას მოეყარა თავი. ისინი თვალყურს ადევნებდნენ მეტალურგიული ქარხნის „მოხუცების“ — უფროსი და საშუალო ასაკის მშრომელთა შეჯიბრებას ცურვაში.


„მეტალურგის“ სტადიონზე სპორტის მრავალმა გულშემბტკივარმა ნახა ამ დღეს ფეხბურთელთა მატჩები. კულტურისა და დასვენების პარკის სარბილზე ქართულ ჭიდაობაში ცდიდნენ ძალებს რუსთაველები და მახლობელი რაიონებიდან ჩამოსულნი.

პარკის წყალსაცავზე გაიმართა მასობრივი ცურვა.

ყველან, ქალაქის ყველა ბაზაზე, გაიმართა სხვადასხვა სახის ღონისძიებანი. ასეთია რუსთაველთა კვირადღე. ასე იქნება ფიზკულტურელთა საკავშირო ზეიმის დღეს — 8 აგვისტოსაც.

სურათებზე: ზევით მარცხნივ — ბრძოლაში ჩაებნენ ქართული სტილის მოქიდავენი. მარჯვნივ — სასიამოვნოა კომკადან წყალში ხტომა. ქვევით — ფეხბურთელთა მატჩის ერთი მომენტი.

ფოტო და ტექსტი რ. გაბრიჭიძისა.



▲ კანადაში გრძელდება ტრადიციული მრავალღიანი ველორბოლა „სან-ლორანი“. 9 ეტაპის შემდეგ პირად ჩათვლაში ლიდერობს ბელგიელი დელო (35:34.12). საბჭოთა ველოსიპედისტი კულიბინი მეოთხე ადგილზეა (35:35.33). გუნდურ ჩათვლაში წინაა ბელგია (106:46.20). შემდეგ მოდიან — პოლონეთი (106:56.28), სსრ კავშირი (107:01.03).

▲ თაირანი. ირანის ჭაღაობის ფედერაციამ შეარჩია ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე გასაგზავნი რ ათლეტი (კლასიკურ სტილში). ესენი არიან: საგარაჯავი, ჯაბილი, ბანაი, ჰუსეინპური, რეიზი, აბიკანური. ორი „ტოკიოელი“ მოქლე ხანში დადგინდება.

▲ სან-ჯორჯო (იტალია). დამთავრდა კალათბურთულ ქალთა საკლუბო გუნდების ტრადიციული ტურნირი. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ სოფრის „აკადემიკი“ და პრადის „სლოვან ორბისი“. გაიმარჯვეს ბულგარელებმა — 78:60. III ადგილზეა იტალიის „ტორინი“.

▲ ბელგრადი. იუგოსლავიის კალათბურთის ფედერაციამ შეადგინა ახალგაზრდული ნაკრები, რომელიც 20—25 აგვისტოს ათენში ბალკანეთის თასის გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას. აღნიშნული გუნდი იქნება იმ ნაკრების ძირითადი ბირთვი, რომელიც ტოკიოში გამოვა. გუნდში შევიდნენ: სოჩევარი, სიმონოვიჩი, ოსტოინი, ბაიზა, პლაჩევი, ბრუნევი, ბორბევიჩი.

▲ სტამბოლი. თურქეთის ჭიდაობის ფედერაციამ საიდუმლოების ფარდა ახადა თავის ოლიმპიურ ნაკრებს და დაიწყო ოფიციალურ შეჯიბრებებში ძირითადი შემადგენლობით გაღსვლა. აი, ვინაა შეყვანილი ნაკრებში (თავისუფალი ჭიდაობა): ილმანი, აკბასი, კაბანლი, ათაღლი, ოგანი, აიკი, გიუნგორი, თოფჩე, არსლანი, იაკვი.

▲ ბარნი. საფრანგეთის ფეხბურთის ასოციაციამ ამას წინათ, გა-

მოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც ლაპარაკია პროფესიული კლუბების უაღრესად ცუდ ეკონომიურ მდგომარეობაზე. ფედერაცია პირდაპირ აცხადებს, რომ „უახლოეს ხანში პირველი ლიგის რამდენიმე კლუბი შეწყვეტს თავის არსებობას“. ყველაზე ცუდი ისაა, რომ არ ჩანს კატასტროფისგან თავის დღწევის გზები.

▲ ბაბა. იუგოსლავიის ფეხბურთის მთავარი ბომბარდირი ფერხატოვიჩი გადასვლაზე მოლაპარაკებას აწარმოებს პოლანდიის კლუბებთან.

▲ ლისაბონი. პორტუგალიის ფეხბურთელთა ნაკრებში დიდი არეულარევაა. „მენფიკას“ სამმა პოპულარულმა მოთამაშემ (კოლუნამ, სიმონსმა და კრუსმა) აშკარა ომი გამოუცხადა როგორც საკუთარი კლუბის, ისე ეროვნული გუნდის ხელმძღვანელებს. ფიქრობენ, რომ ორივე მწვრთნელი დატოვებს პოსტს, რადგან „გაფიცულებს“ სლოიდობას უცხადებენ გუნდის სხვა წევრებიც.

▲ შენევა. დოქტორი ალფრედო ფონი, წარსულში პოპულარული იტალიელი ფეხბურთელი, ამჟამად შევიცარიის ერთ-ერთი კლუბის მწვრთნელი, აშკარად ილაშქრებს ბრაზილიური სისტემის წინააღმდეგ და მას დრომოჭმულს უწოდებს. ფონი თავაზობს უფრო პროგრესულ სისტემას 4—3—3.

▲ ბარნი. საფრანგეთის მთავრობის სპეციალური კომისია გულშემატკვარეულად სწავლობს „ტურ დე ფრანსში“ დომინგის გამოყენების საკითხს. როგორც ირკვევა, მსოფლიოში არც ერთი შეჯიბრება არ ნიქავს იმდენ ნარკოტიკს, რამდენსაც ეს პოპულარული ველორბოლა. მთავრობის ოფიციალური პოზიცია ასეთია: თუ „ტურ დე ფრანსში“ კვლავ გამოიყენეს დომინგი, როგორც ასპარეზობის მთავარი სტიმულატორი, რბოლა საერთოდ აიკრძალება კანონით.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი — 8, ლენინის ქ. № 14, დეპარტამენტის — თბილისი, „ლოლო“. ტელეფონები: რედაქტორი — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივანი და სპორტული განყოფილება — 8-35-09, ქვესადავური (8-15-00-დან 09-მდე) — პასუხისმგებელი მდივანი — 5-30, სპორტული განყოფილება — 5-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 5-14, ფოტოლაბორატორია — 5-16, მემაქანეთა ბურო — 5-11, გამომცემი — 3-81.

ამოცანა
ს. ბოშორიშვილი (თბილისი)

შამათი 5 სკლაში

რედაქტორი მ. პაპაბაძე.

ფეხბურთი

„ლინკოს“ სტადიონი

7 აგვისტო

საერთაშორისო შემადგარ „პანიონისი“ (საბერძნეთი) „ლოკომოტივი“ (თბილისი) დასაწყისი 19 ს. 30 წ.

საქართველო

საქართველო